ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №169

2011 წლის 15 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი აირის მილსადენის (ხაზობრივი ნაგებობა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 17 ნოემბრის №01-10/4363 წერილით ითხოვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრების უფლებით გადაეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი აირის მილსადენი (ხაზობრივი ნაგებობა) შემდგომში ეფექტურად განკარგვის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”-ს 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი აირის მილსადენი (ხაზობრივი ნაგებობა) თანახმად დანართისა.

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 ნოემბრის №148 განკარგულება.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**

დანართი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის
საკუთრებაში გადასაცემი ქონების ნუსხა

№	მისამართი	ობიექტის სიგრძე (მ)	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	სოფ. ხუცუბანი	642.9	20.00.135	
2	სოფ. ბობოყვათი	596.1	20.00.136	
3	დაბა ოჩხამური	1269.2	20.00.137	
4	სოფ. ქვედა სამება	959.7	20.00.138	